



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030491310986914

№ 04-121/თ

24 / აპრილი / 2014 წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი დონისძიების განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით (შემდგომში - "დადგენილებით") დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ (დანართი 1.4) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს, მიმწოდებელის მიერ დადგენილებით განსაზღვრული „ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ (დანართი 1.4) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებელის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის ფორმა (დანართი N1).
2. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველომ (ვ. გაზდელიანი) უზრუნველყოს მომსახურების მიმწოდებლის ინფორმირება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმის და ინფორმაციის მიწოდების პირობების თაობაზე;
3. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე - ssa.gov.ge.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს ზ. სოფრომაძეს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

